

შპს სტატიო

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	(3)	10 363 382	7 680 063
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-7 048 957	-5 084 007
საერთო მოგება		3 314 425	2 596 056
სხვა შემოსავლები	(4)	316287	146 393
კომერციული დანახარჯები		-908 644	-679 979
ადმინისტრაციული ხარჯები	(6)	-186 380	-159 127
სხვა ხარჯები	(7)	-358 623	-155 546
ფინანსური დანახარჯები		-44 888	-94 922
მოგება დაბეგვრამდე		2 132 177	1 652 875
მოგების გადასახადი		-319 827	-247 931
მიმდინარე წლის მოგება		1 812 350	1 404 944
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		3 570 880	2 784 883
დივიდენდი		-884 210	-618 947
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		4 499 020	3 570 880

შპს სტატიო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	(17)	798 835	693 086	739 137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(8)	1 835 139	1 417 736	1 224 177
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	(9)	1 867 510	1 470 815	1 365 600
სულ მიმდინარე აქტივები		4 501 484	3 581 637	3 328 914
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	(10)	1 235 409	1 349 702	1 124 184
არამატერიალური აქტივები	(11)	17 048	19 702	10 297
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 252 457	1 369 404	1 134 481
სულ აქტივები		5 753 941	4 951 041	4 463 395
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(14)	195 781	130 677	60 325
გადასახდელი პროცენტები		0	8 098	10 123
საგდასახადო ვალდებულებები	(12)	801 120	622 597	493 593
სულ მიმდინარე ვალდებულებები		996 901	761 372	564 041
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი		0	360 769	856 451

შპს სტატიო
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სულ ვალდებულებები	996 901	1 122 141	1 420 492
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	258 020	258 020	258 020
გაუნაწილებელი მოგება	4 499 020	3 570 880	2 784 883
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	5 753 941	4 951 041	4 463 395

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტატიო“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი სოფ. დიღომი იან- ჰომერის ქუჩა 5ა. მისი ძირითადი საქმიანობაა №1 საბითუმო ვაჭრობა სხვა საყოფაცხოვრებო საქონლით, სხვა და ჯგუფებში ჩაურთველი, №2. საბითუმო ვაჭრობა საკანცელარიო საკუთნოებით, წიგნებით, ჟურნალებით, გაზეთებით და მისთ., №3 საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს-ს შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო წელი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად გამოყენებულია ქართულ ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება ან ზარალის ანგარიშებზე.

ამონაგები

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯები.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ მომავალში წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას და ვალდებულების ზრდასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარებულ კრიტერიუმებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება მიმდინარე საანგარიშგებო წელს ,როდესაც ხდება წლის გაუნაწილებელი მოგების დაანგარიშება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, 2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება დივიდენდის განაწილების დროს.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა, ეს მოვლენა არის ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი, მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას შორის სხვაობის თანხით.

ცვეთა ერიცხება მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად, გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-15

სატრანსპორტო საშუალებები 5-15

ავეჯი და სხვა ინვენტარი 8-15

კომპიუტერული ტექნიკა 5-10

სხვა 3-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმის რომ ცვეთის ნორმა, აქტივის მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომში გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ჩაირთვება სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასრებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმის რომ ცვეთის ნორმა, აქტივის მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს.

თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდა გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების(სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის)შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელების აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის, უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან და მუდმივ და ცვლად ზედნადებ დანახარჯებთან, რომელიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. სასაქონლო მატერიალური მარაგების გაყიდვის შემთხვევაში, მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება, იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური

მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულებში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდი

დივიდენდის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდი აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი (გაუნაწილებელი მოგება).

3. ამონაგები

	2022	2021
საქონლის გაყიდვა	10372101	7684935
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	-8719	-4872

10363382 7680063

4. სხვა შემოსავალი

2022 2021

საპროცენტო შემოსავალი	1796	2315
ნედლეულის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1388	11966
ძირითადი საშუალების გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი	23000	2966
მომწოდებლის მიერ გადახდილი პრემია	30445	2416
Covid 19 საშემოსავლო შეღავათი	0	6204
შემოსავალი კონვერტაციის შედეგად	1922	2761
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული შემოსავალი	233521	107983
ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ზედმეტობა	24215	9782
	316287	146393

5. ფინანსური დანახარჯები

2022 2021

ბანკის სესხის პროცენტი	44888	94922
------------------------	-------	-------

6. ხარჯები

2022 2021

6.1 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7048957	5084007
6.2 კომერციული დანახარჯები	908644	679979
6.3 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	186380	159127
6.3(1) შრომის ანაზღაურება	99313	94781
6.3(2) სოც. გადასახ. პენსია	14183	11168
6.3(3) საიჯარო ქირა	14648	8136
6.3(4) კომუნიკაციის ხარჯი	4316	3202
6.3(5) კომპიუტერის ხარჯი	3787	3112
6.3(6) საკონსულტაციო ხარჯი	381	339
6.3(7) ცვეთა და ამორტიზაცია	6150	8153
6.3(8) სხვა საგადასახადო ხარჯი	23628	14392
6.3(9) მივლინების ხარჯი	3360	
6.3(10) დაცვის ხარჯი	1220	1220
6.3(11) ბანკის საკომისიოს ხარჯი	9032	8134
6.3(12) სხვა საერთო ხარჯი	6362	6490

7. სხვა ხარჯები

2022 2021

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რეალიზებული ნედლეულის თვითღირებულება	1033	8125
ზარალი კონვერტაციის შედეგად	78541	21740
გასავალი ვალუტის გადაფასებიდან	258702	96291
გაყიდული ძირითადი საშუალების ნარჩენი ღირებუ.	18196	562
საქველმოქმედო ხარჯი	0	1
ჯარიმა, საურავი	828	160
პროდუქციის დანაკლისით	0	
გამოწვეული ზარალი		20594
სხვა ხარჯი	1175	3020
მოგების გადასახადის ხარჯი	148	5053
	358623	155546

სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი (ჩართულია სხვა ხარჯებში)

8.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2022	2021
სავაჭრო დებიტორები	1361788	1094314
გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები	473351	323422
	1835139	1417736

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2022	2021
საქონელი	1575695	1323505
ნედლეული და მასალები	238166	110291
მზა პროდუქცია	23443	35426
სათადარიგო ნაწილები	28756	
სხვა მარაგები	1450	1593
	1867510	1470815

10. ძირითადი საშუალებები						
ისტორიული ღირებულება	მიწა შენობა- ნაგებობ ით	მანქანა დანადგარე ბი და მოწყობილ ბები	სატრანსპორტო საშუალებ ები	კომპიუტ ერული ტექნიკა	ავეჯი	სხვა
1 იანვარი 2022 წელი	737913	683480	179816	23978	5232	17395
შემოსვლა		847			1060	

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გასვლა	27994					
31 დეკემბერი 2022 წელი	737913	684327	151822	23978	6292	17395

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2022 წელი	222692	46969	14861	935	12656	
წლიური ცვეთა	80286	14835	1682	532	668	
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		9798				
31 დეკემბერი 2022 წელი	302978	52006	16543	1467	13324	
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022 წელი	737913	381349	99816	7435	4825	4071

11. არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა

ისტორიული ღირებულება

1 იანვარი 2022 წელი	29535
შემოსვლა	
გასვლა	
31 დეკემბერი 2022 წელი	29535

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2022 წელი	9833
წლიური ამორტიზაცია (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	2653
31 დეკემბერი 2022 წელი	12487
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022 წელი	17048

12. საგადასახადო ვალდებულებები

2022 2021

მოგების გადასახადი	797734	633797
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	3386	-11200
	801120	622597

13. ბანკის სესხი

2022 2021

ბანკის სესხი	0	360769
--------------	---	--------

შპს სტატიო
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

14. სავაჭრო ვალდებულებები	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	153983	97070
სახელფასო დავალიანება თანამშრომლების მიმართ	24248	21115
სხვა ვალდებულებები	17550	12492
	195781	130677

15. ჩვეულებრივი იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფართი და მსუბუქი ავტომანქანა. შეიჯარეებთან გაფორმებულია ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება.

	2022	2021
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული საიჯარო გადასახდელები .	129534	88856

16. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 258 020 ლარს.

17. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2022	2021
	ლარი	ლარი
ფულადი სახსრები სალაროში	10481	13184
ფული საბანკო ანგარიშებზე	788354	679902
	798835	693086

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა და გამოცემის ნებართვა გაიცა კომპანიის დირექტორების მიერ 2023 წლის 26 სექტემბერს.